ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N359/01/182

CPV: 09132000 - ბენზინი; 09134220 - დიზელის საწვავი

ქ. თბილისი 19/09/2012 წელი

ერთის მხრივ, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ ს/კ 404391136 (შემდგომში-„მიმწოდებელი“) წარმოდგენილი კორპორატიული გაყიდვების სამსახურის უფროსის იოსებ ქარსელაძის სახით და, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო” ს/კ **202294980** (შემდგომში-„შემსყიდველი ორგანიზაცია“) წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ბადრი ნიაურის სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის 20² მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდგეზე:

1. *<u>ხელშეკრულების საგანი:</u>* ტალონური სისტემით საწვავის ბენზინის (პრემიუმი-95) და ევრო დიზელის ნასყიდობა.

2. *<u>მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედით:</u>* წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში „შემსყიდველი ორგანიზაცია“ შეისყიდის 13800 (ცამეტიათასრვაასი) ლიტრის ოდენობის ბენზინს (პრემიუმი-95) და 3700 (სამიათასშვისაი) ლიტრ ევრო დიზელს.
3. *<u>ხელშეკრულების საერთო ღირებულება:</u>* 40.048 (ორმოციათასორმოცდარვა) ლარი დღგ-ს ჩათვლით. ერთი ლიტრი ბენზინის (პრემიუმი-95) ფასი შეადგენს 2.28 ლარს, ხოლო ერთი ლიტრი ევრო დიზელის ფასი შეადგენს 2.32 ლარს, ფასები მოცემულია ფასდაკლების (მინუს 5 თეთრის) გათვალისწინებით.
4. „შემსყიდველი ორგანიზაციის“ მიერ საწვავის ფასის გადახდა ხდება წინასწარ. „მიმწოდებლის“ მიერ „შემსყიდველი ორგანიზაციისათვის“ საწვავის ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გასატანი საწვავის ფასის სრულად გადახდიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში. ტალონების გადაცემა ხდება ქ. თბილისი პეტრიაშვილის ქ. #28-ში მდებარე „მიმწოდებლის“ სერვის ცენტრში.

5. საწვავის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.

6. ხელშკრულების მოქმედების ვადა: წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების მხარეთა მიერ უფლება-მოვალეობების სრულად შესრულებამდე.

7. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ და „მიმწოდებელი“ ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და „მიმწოდებლის“ საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.
8. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ „შემსყიდველ ორგანიზაციაზე“ გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების და დაკარგვის რისკი, „მიმწოდებელი“ თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან. „შემსყიდველ ორგანიზაციაზე“ გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.
9. წინამდებარე „ხელშეკრულება“ შედგენილია სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა „შემსყიდველ ორგანიზაციას“, ხოლო ერთი „მიმწოდებელს“.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი ორგანიზაცია“

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო”
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული,
საიდენტიფიკაციო კოდი: 202294980
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: 220101222
ანგარიშის # 200122900

ბადრი წიკური

„მიმწოდებელი“

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ძველი თბილისის
რაიონი, დ. აღმაშენებლის # 154
საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“-ს ც/ფ
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის # GE62BG0000000876831000
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“-ს ც/ფ
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიში # GE05TB7538836020100001

კორპორატიული გაყიდვების სამსახურის უფროსი

იოსებ ქარსელაძე